

# CT 16



## გრუნტის საღებავი

სინთეტიკური ფისების დისკერსია თხელფენიანი ბათქაშის, შეგოზილი ზედაპირების და საღებავის საფარების დასაგრუნტად

### მახასიათებლები

- ბათქაშის უფრო ადვილად დატანა უფრო მაღალი ადჰეზია სუბსტრატთან წყალგაუმტარი
- ორთქლის გამტარი
- მაღალი გაუმჭვირვალობა
- ისმება როლერით ან ფუნჯით
- მზადაა გამოსაყენებლად

### გამოყენების სფერო

Ceresit CT 16 აადვილებს თხელფენიანი ბათქაშისა და ნასხურის დატანას შენობების შიგნით და გარეთ. ის რეკომენდებულია გამაგრებული ფენების დასაგრუნტად Ceresit Ceretherm ETICS-ის (გარე თბოიზოლაციის კომპოზიტური სისტემები) და ტრადიციული ბათქაშის შიგნით. საღებავი CT 16 შეიძლება წაისვას მერქანზურბუმელას ფილის, თაბაშირის მუყაოს, თაბაშირის ბათქაშის, ყველა სახის ბეტონისა და გამძლე საღებავის ზედაპირებზე. სუბსტრატის CT 16-ით დაგრუნტვა საგრძობლად ამცირებს მის შეწოვას, რაც ხელს უშლის გამოყენებული პროდუქტების ძალიან სწრაფ გაშრობას. წვრილი აგრეგატები, რომლებიც შედის CT 16-ში, გრუნტირებულ ზედაპირებს ხაოიანს და ნაკაწრების მიმართ გამძლეს ხდის. ზედაპირის გაფართოებასთან ერთად მატულობს ბათქაშის, შეგოზილი ზედაპირების და საღებავების ადჰეზია. ამ პროდუქტს აქვს ძლიერი დაფარვის თვისებები და სუბსტრატს ეფექტურად ერთგვაროვანს ხდის, რითაც ხელს უშლის ლაქების წარმოქმნას ფერადი აკრილის, მინერალურ, სილიკატურ-სილიკონის, სილიკონის და ელასტომერულ ბათქაშებზე.

### სუბსტრატის მომზადება

Ceresit CT 16 საღებავით დასაფარი სუბსტრატები უნდა იყოს გლუვი, თანაბარი, მშრალი და თავისუფალი ნებისმიერი ნივთიერებისგან, რომლებიც ამცირებენ ადჰეზიას: ცხიმი, ბიტუმი, მტვერი და ა.შ. ნებისმიერი ჭუჭყიანი ან სუსტი საფარი უნდა მოიხსნას. არსებული წებოვანი ან კირის საღებავის საფარი უნდა მოიხსნას. მინარევების მოსაშორებლად რეკომენდებულია სარეცხი აპარატები CT 98 აგენტის გამოყენებით. ბათქაშში არსებული ნებისმიერი დეფექტი ან ხარვეზი უნდა შეივსოს Ceresit CT 29-ით. მშთანთქმელი სუბსტრატები, მაგ. თაბაშირის ბათქაშები, მერქანზურბუმელას ფილები, გაუყენეთავი თაბაშირის მუყაოები უნდა დაიგრუნტოს აგენტი Ceresit CT 17-ით და შემდეგ დარჩეს გასაშრობად დაახლოებით 2 საათის განმავლობაში.



CERESIT\_C\_CT16\_TDS\_1\_0318

### გამოყენება

შეფუთვის შიგთავსი უნდა აირიოს. დაკანგული კონტეინერები და ხელსაწყოები არ უნდა იქნეს გამოიყენებული. არ გაზავოთ საღებავი! რეკომენდებულია CT 16-ის ერთი თანაბარი ფენის წასმა როლერით ან ფუნჯით. გაშრობის დრო არის დაახლოებით 3 საათი. ხელსაწყოები და ახალი ლაქები უნდა გაირეცხოს წყლით.

### გთხოვთ გაითვალისწინოთ

გრუნტი საღებავი გამოიყენეთ გარემოსა და სუბსტრატის +5 °C-დან +25 °C-მდე ტემპერატურაზე, ხოლო ტენიანობა 80%-ზე დაბალი უნდა იყოს. თვალბრუნ კონტაქტის შემთხვევაში ისინი უნდა ჩამოიბანოთ წყლით და მიმართოთ ექიმს.

### დამატებითი ინფორმაცია

ბათქაშის თხელი ფენის შემთხვევაში სუბსტრატის დასაგრუნტად რეკომენდებულია ბათქაშის შესაბამისი ფერის CT 16-ის გამოყენება.

## შეფუთვა

პლასტმასის სათლები 5 კგ, 15 კგ.

## ტექნიკური მონაცემები

ბაზა: სინთეტიკური ფისების წყლის დისპერსია  
მინერალური შემავსებლებით

სიმკვრივე: დაახლ. 1.5 კგ/დმ<sup>3</sup>

გამოყენების ტემპერატურა: +5 °C-დან +25 °C-მდე

გაშრობის დრო: დაახლ. 3 საათი

სავარაუდო მოხმარება: 0.2-დან 0.35-მდე ლ/მ<sup>2</sup>/ 0.3-დან to 0.5-მდე კგ/მ<sup>2</sup>

დამოკიდებულია სუბსტრატის  
სიგლუვესა და შთანთქმის უნარზე

ვარგისიანობის პერიოდი/შენახვა: წარმოების თარიღიდან 12  
თვემდე თუ ინახება პალეტებზე  
გრილ პირობებში და ორიგინალ  
დაუზიანებელ შეფუთვაში.

**დაიცავით ყინვისგან! დაიცავით მზის პირდაპირი სხივებისგან!**

ამ პროდუქტზე გაცემულია:

- BBA სერტიფიკატი No. 14/5142,

- ირლანდიის შეთანხმების საბჭოს სერტიფიკატი No. 09/0340.

- ევროპული ტექნიკური შეფასება (ETA) სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	პოპულარ ული	კლასკური	ეოზაფი	Wool Classic	უნივერსა ლური EPS	უნივერსა ლური XPS	უნივერსა ლური MW
ETA	08/0309	09/0014	11/0395	09/0026	13/0535	13/0807	14/0127
სერტიფიკა ტი	1488-CPR- -0382/Z	1488-CPR- -0439/Z	1488-CPR- -0370/Z	1488-CPR- -0440/Z	1488-CPR- -0457/Z	1488-CPR- -0456/Z	1488-CPR- -0362/Z
DoP	00426	00420	00431	00424	00433	00434	00435

- ეროვნული ტექნიკური შეფასება სისტემებში:

Ceresit Ceretherm სისტემა	პოპულარური	კლასიკ ური	Reno	Wool Garage
TA	15-6894/2013 + დანართები	15-4397/2013 + დანართები	15-8077/2009 + დანართები	15-7956/2016 + დანართები
სერტიფიკატი	ITB-0068/Z	ITB-0109/Z	ITB-0701/Z	ITB-0320/Z
DoC	00442	00440	00444	00448

გარდა აქ მოცემული ინფორმაციისა, ასევე მნიშვნელოვანია დაცული იქნას სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სავაჭრო ასოციაციების შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები და რეგულაციები, ასევე გერმანიის სტანდარტების ინსტიტუტის (DIN) შესაბამისი სტანდარტები. ზემოაღნიშნული მასხასითებლები ეფუძნება პრაქტიკულ გამოცდილებას და ჩატარებულ ტესტირებას. გარანტირებული თვისებები და შესაძლო გამოყენება, რომელიც სცილდება ამ საინფორმაციო ფურცელში მითითებულ გარანტიებს, საჭიროებს ჩვენს წერილობით დადასტურებას. ყველა მოცემული მონაცემი მიღებული იქნა გარემოსა და მასალის +23 °C ტემპერატურაზე და 50% ჰაერის ფარდობითი ტენიანობის პირობებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სხვა კლიმატურ პირობებში გამყარება შეიძლება დაჩქარდეს ან შენეიდეს.

აქ მოცემული ინფორმაცია, კონკრეტულად კი რეკომენდაციები ჩვენი პროდუქტის მოპყრობისა და გამოყენების შესახებ, ეფუძნება ჩვენს პროფესიულ გამოცდილებას. ვინაიდან მასალები და პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეული სავარაუდო გამოყენების მიხედვით და, შესაბამისად, ჩვენი კონტროლის მიღმა იყოს, მკაცრად გირჩევთ, რომ თითოეულ შემთხვევაში ჩატარდეს საკმარისი რაოდენობის ტესტები, პროდუქტების დაგეგმილი გამოყენებისთვის მათი შესაფერისობის შესამოწმებლად. ოურიდიული პასუხისმგებლობა ვერ იქნება აღებული ამ მონაცემთა ფურცლის შინაარსის ან რაიმე სიტყვიერი რჩევის საფუძველზე, გარდა ჩვენი მხრიდან განზრახ გადავდომის ან უხეში დაუდევრობის შემთხვევისა. ტექნიკური მონაცემების ეს ფურცელი ანაცვლებს ყველა წინა გამოცემას, რომელიც შეესაბამება ამ პროდუქტს.



**Henkel CEE**  
ერდბერგშტრასეს 29  
1030 ვენა  
www.ceresit.com